ბრძანება:**ბ63. 63242152**
თარიღი:**02/08/2024**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 5 აგვისტოს სხდომის მოწვევის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი''-ს 26-ე მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

მუხლი 1. მოწვეულ იქნას სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა, 2024 წლის 5 აგვისტოს 11:00 საათზე.სხდომის ჩატარების ადგილი: ადგილობრივი თვითმმართველობის შენობაში არსებული საკრებულოს სხდომათა დარბაზი, რესპუბლიკის ქუჩა N6.

მუხლი 2. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე წარდგენილ იქნას დღის წესრიგის შემდეგი პროექტები:

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის 6 თვის შესრულების მიმოხილვის შესახებ.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე./

2. ქალაქ სამტრედიაში, კალანდარიშვილის ქ. №7-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (2223.00 კვ.მ) მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.48.148) არსებული შენობა-ნაგებობების (№1 შენობა-ნაგებობის საერთო ფართი 590.70 კვ.მ და №2 შენობა-ნაგებობის საერთო ფართი 24.00 კვ.მ) პრივატიზების შესახებ განმეორებითი პირობიანი ელექტრონული აუქციონისთვის საფასურის შემცირების (საფასური მცირდება 50%-ზე მეტით) თაობაზე.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ტ. ცომაია./

3. სამტრედიის მუნიციპალიტეტსა და ილარიონ ადეიშვილს შორის 2019 წლის 26 მარტს დადებული იჯარის ხელშეკრულების, მხარეთა შეთანხმებით შეწყვეტისათვის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ტ. ცომაია./

4. ქალაქ სამტრედიაში, ბარათაშვილის ქუჩაზე მდებარე 1197.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.71.182), სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშში, ნიკო ნიკოლაძის ქ. №154-ში მდებარე 366.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.02.48.457) და სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაშში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (325.00 კვ.მ) მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.09.45.002) არსებული №1 შენობა-ნაგებობის (საერთო ფართი - 283,15 კვ.მ) საპრივატიზაციო ობიექტებად განსაზღვრისა და პრივატიზაციის შესახებ.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ტ. ცომაია./

5. ქალაქ სამტრედიაში, ილია ჭავჭავაძის ქ. №2-ის მიმდებარედ 501.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.50.857) 9.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული 9.00 კვ.მ №1 ჯიხურის ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობაში გაცემისთვის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემისა და ქირის საწყისი წლიური საფასურის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ტ. ცომაია./

6. ქალაქ სამტრედიაში, ილია ჭავჭავაძის ქ. №2-ის მიმდებარედ 501.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.50.857) 9.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული 9.00 კვ.მ №2 ჯიხურის ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობაში გაცემისთვის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემისა და ქირის საწყისი წლიური საფასურის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ტ. ცომაია./

7. ქალაქ სამტრედიაში, ილია ჭავჭავაძის ქ. №2-ის მიმდებარედ 501.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.50.857) 9.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული 9.00 კვ.მ №3 ჯიხურის ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობაში გაცემისთვის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემისა და ქირის საწყისი წლიური საფასურის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ტ. ცომაია./

8. ქალაქ სამტრედიაში, 9 აპრილის ქ. №4–ში მდებარე 254.80 კვ.მ ფართის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.50.349.01.502) და მოძრავი ნივთების (ინვენტარის) სსიპ სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების სააგენტოსთვის, 2026 წლის 01 იანვრამდე, უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ტ. ცომაია./

9. სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ტ.

ცომაია./

10. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განაკვეთების განსაზღვრის შესახებ" სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.სირბილაძე./

11. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა''-ს დაფუძნების ცნობად მიღების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის Nგ-63.63213378 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.სირბილაძე./

12. სხვადასხვა.

მუხლი 3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით სამტრედიის რაონულ სასამართლოში (ქ. სამტრედია, ძმები ნინუების ქ.N1) მისი გამოცემიდან 1/ერთი/თვის ვადაში.
მუხლი 4. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

ვაჟა სტურუა

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის პირველი მოადგილე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი